

## მე და ღამე

ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის, დნება,  
სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნება  
მთვარით ნაფენს არე-მარე ვერ იცილებს ვერცხლის საბანს.  
სიო არხევს და ატოვებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.

ცა მტრედისფერ, ლურჯ სვეტებით ისე არის დასერილი,  
ისე არის სავსე გრძნებით, ვით რითმებით ეს წერილი.  
საიდუმლო შუქით არე, ისე არის შესუდრული,  
ისე სავსე უხვ გრძნობებით, ვით ამ ღამეს ჩემი გული.

დიდი ხნიდან საიდუმლოს მეც ღრმად გულში დავატარებ,  
არ ვუმჟღავნებ ქვეყნად არვის, ნიავსაც კი არ ვაკარებ.  
რა იციან მეგობრებმა, თუ რა ნაღველს იტევს გული,  
ან რა არის მის სიღრმეში საუკუნოდ შენახული.

ვერ მომპარავს ბნელ გულის ფიქრს წუთი წუთზე უამესი,  
საიდუმლოს ვერ მომტაცებს ქალის ხვევნა და ალერსი;  
ვერც ძილის დროს ნელი ოხვრა, და ვერც თასი ღვინით სავსე,  
ვერ წამართმევს მას, რაც გულის ბნელ სიღრმეში მოვათავსე.

მხოლოდ ღამემ, უძილობის დროს სარკმელში მოკამკამემ,  
იცის ჩემი საიდუმლო, ყველა იცის თეთრმა ღამემ.  
იცის - როგორ დავრჩი ობლად, როგორ ვევნე და ვეწამე,  
ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე: მე და ღამე, მე და ღამე!